

სს „საბროკერო კომპანია კავკასუს კაპიტალ ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	20
5. წინა პერიოდის კლასიფიკაციების შესწორება	21
6. ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	22
7. ძირითადი საშუალებები	23
8. არამატერიალური აქტივები	24
9. არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი	24
10. აქტივი გამოყენების უფლებით	25
11. დებიტორული დავალიანება	25
12. მოკლევადიანი ინვესტიციები	25
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
14. კაპიტალი	26
15. საიჯარო ვალდებულება	27
16. კრედიტორული დავალიანება	27
17. ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან	27
18. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები	27
19. სხვა საოპერაციო შემოსავლები	28
20. სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	28
21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	28
22. მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	29
23. სხვა ხარჯები	29
24. ფინანსური რისკის მართვა	29
25. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა	33
26. პირობითი ვალდებულებები	33
27. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	33
28. ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და ტრანზაქციების მოცულობაზე	34
29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძვლები

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 29-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

გელა მღებრიშვილი

შპს ნექსია თიეი-ს სახელით

თბილისი, საქართველო

30 მარტი, 2020

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძვლები

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 29-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

გელა მღებრიშვილი

შპს ნექსია თიეი-ს სახელით

თბილისი, საქართველო

30 მარტი, 2020

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	6	392,958	392,958
ძირითადი საშუალებები	7	16,239	8,508
არამატერიალური აქტივები	8	19,809	2,081
არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი	9	19,912	21,629
აქტივი გამოყენების უფლებით	10	28,666	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		477,584	425,176
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული დავალიანება	11	638	9,570
საგადასახადო აქტივი, წმინდა		214	241
მოკლევადიანი ინვესტიციები	12	22,256	29,841
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	59,083	40,747
სულ მიმდინარე აქტივები		82,191	80,399
სულ აქტივები		559,775	505,575
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		415,140	370,000
საემისიო შემოსავალი (საემისიო კაპიტალი)		33,160	-
გაუნაწილებელი მოგება		56,471	100,021
სულ კაპიტალი	14	504,771	470,021
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	15	24,815	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		24,815	-
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	16	13,724	24,747
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან	17	9,342	10,807
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	15	7,123	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		30,189	35,554
სულ ვალდებულებები		55,004	35,554
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		559,775	505,575

დადასტურებული და ხელმოწერილია 2020 წლის 30 მარტს ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ლოლაძე

ლიანა პაპიაშვილი

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	6	392,958	392,958
ძირითადი საშუალებები	7	16,239	8,508
არამატერიალური აქტივები	8	19,809	2,081
არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი	9	19,912	21,629
აქტივი გამოყენების უფლებებით	10	28,666	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		477,584	425,176
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული დავალიანება	11	638	9,570
საგადასახადო აქტივი, წმინდა		214	241
მოკლევადიანი ინვესტიციები	12	22,256	29,841
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	59,083	40,747
სულ მიმდინარე აქტივები		82,191	80,399
სულ აქტივები		559,775	505,575
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		415,140	370,000
საემისიო შემოსავალი (საემისიო კაპიტალი)		33,160	-
გაუნაწილებელი მოგება		56,471	100,021
სულ კაპიტალი	14	504,771	470,021
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	15	24,815	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		24,815	-
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	16	13,724	24,747
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან	17	9,342	10,807
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	15	7,123	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		30,189	35,554
სულ ვალდებულებები		55,004	35,554
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		559,775	505,575

დადასტურებული და ხელმოწერილია 2020 წლის 30 მარტს ხელმძღვანელობის სახელით:


გიორგი ლოლაძე

გენერალური დირექტორი



ლიანა პაპიაშვილი

მთავარი ბუღალტერი



შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საკომისიო შემოსავალი	18	89,151	56,260
საკომისიო ხარჯი	18	(69,293)	(62,137)
წმინდა საკომისიო შემოსავალი/(ხარჯი)		19,858	(5,877)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	646	4,351
სხვა საშუამავლო შემოსავალი		989	1,409
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	20	814	(12,374)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(63,342)	(41,806)
საპროცენტო ხარჯი	15	(2,683)	-
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	22	1,502	(1,270)
სხვა ხარჯები	23	(1,334)	(13,247)
ზარალი დაბეგვრამდე		(43,550)	(68,814)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(258)
წლის ზარალი		(43,550)	(69,072)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(43,550)	(69,072)

დადასტურებული და ხელმოწერილია 2020 წლის 30 მარტს ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ლოლაძე

ლიანა პაპიაშვილი

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საკომისიო შემოსავალი	18	89,151	56,260
საკომისიო ხარჯი	18	(69,293)	(62,137)
წმინდა საკომისიო შემოსავალი/(ხარჯი)		19,858	(5,877)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	646	4,351
სხვა საშუაშედიო შემოსავალი		989	1,409
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	20	814	(12,374)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(63,342)	(41,806)
საპროცენტო ხარჯი	15	(2,683)	-
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	22	1,502	(1,270)
სხვა ხარჯები	23	(1,334)	(13,247)
ზარალი დაბეგვრამდე		(43,550)	(68,814)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(258)
წლის ზარალი		(43,550)	(69,072)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(43,550)	(69,072)

დადასტურებული და ხელმოწერილია 2020 წლის 30 მარტს ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ლოლაძე

გენერალური დირექტორი

ლიანა პაპიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი (საემისიო კაპიტალი)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი (გ/შ 12)
1 იანვარი 2018	368,560	-	169,093	537,653
კაპიტალის შევსება	1,440	-	-	1,440
წლის სრული ზარალი	-	-	(69,072)	(69,072)
31 დეკემბერი 2018	370,000	-	100,021	470,021
კაპიტალის შევსება	45,140	33,160	-	78,300
წლის სრული ზარალი	-	-	(43,550)	(43,550)
31 დეკემბერი 2019	415,140	33,160	56,471	504,771

დადასტურებული და ხელმოწერილია 2020 წლის 30 მარტს ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ლოლაძე

ლიანა პაპიაშვილი

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი (საემისიო კაპიტალი)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი (გ/შ 12)
1 იანვარი 2018	368,560	-	169,093	537,653
კაპიტალის შევსება	1,440	-	-	1,440
წლის სრული ზარალი	-	-	(69,072)	(69,072)
31 დეკემბერი 2018	370,000	-	100,021	470,021
კაპიტალის შევსება	45,140	33,160	-	78,300
წლის სრული ზარალი	-	-	(43,550)	(43,550)
31 დეკემბერი 2019	415,140	33,160	56,471	504,771

დადასტურებული და ხელმოწერილია 2020 წლის 30 მარტს ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ლოლაძე



ლიანა პაპიაშვილი



გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
წლის ზარალი დაბეგვრამდე:		(43,550)	(68,814)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	21	11,875	3,481
საპროცენტო ხარჯი	15	2,683	
სხვა ხარჯი, წმინდა	19,23	688	8,896
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების			
ცვლილებით მიღებული (შემოსავალი)/ხარჯი, წმინდა	20	(814)	12,374
(მოგება)/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	22	(1,502)	1,270
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:			
წმინდა საგადასახადო აქტივის შემცირება/(ზრდა)		27	(95)
დებიტორული დავალიანება შემცირება/(ზრდა)		7,074	(1,554)
კრედიტორული დავალიანების შემცირება		(17,067)	(22,837)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(40,586)	(67,279)
გადახდილი პროცენტი		(2,683)	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(43,269)	(67,279)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მოკლევადიანი ინვესტიციების გაყიდვა		15,004	47,822
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(12,400)	(1,718)
აქციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		528	(3,740)
არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი		(16,188)	(19,753)
მიღებული დივიდენდი		-	272
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(13,056)	22,883
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის შევსება	14	78,300	61,440
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის დაფარვა		(6,463)	
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		71,837	61,440
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	13	40,747	22,672
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		15,512	17,044
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		2,824	1,031
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	59,083	40,747

გიორგი ლოლაძე

ლიანა პაპიაშვილი

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

დადასტურებული და ხელმოწერილია 2020 წლის 30 მარტს ხელმძღვანელობის სახელით:

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
წლის ზარალი დაბეგვრამდე:		(43,550)	(68,814)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	21	11,875	3,481
საპროცენტო ხარჯი	15	2,683	
სხვა ხარჯი, წმინდა	19,23	688	8,896
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების			
ცვლილებით მიღებული (შემოსავალი)/ხარჯი, წმინდა	20	(814)	12,374
(მოგება)/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	22	(1,502)	1,270
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:			
წმინდა საგადასახადო აქტივის შემცირება/(ზრდა)		27	(95)
დებიტორული დავალიანება შემცირება/(ზრდა)		7,074	(1,554)
კრედიტორული დავალიანების შემცირება		(17,067)	(22,837)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(40,586)	(67,279)
გადახდილი პროცენტი		(2,683)	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(43,269)	(67,279)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მოკლევადიანი ინვესტიციების გაყიდვა		15,004	47,822
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(12,400)	(1,718)
აქციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		528	(3,740)
არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი		(16,188)	(19,753)
მიღებული დივიდენდი		-	272
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(13,056)	22,883
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის შევსება	14	78,300	61,440
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის დაფარვა		(6,463)	
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		71,837	61,440
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	13	40,747	22,672
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		15,512	17,044
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		2,824	1,031
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	59,083	40,747

გიორგი ლოლაძე

გენერალური დირექტორი



ლიანა პაპიაშვილი

მთავარი ბუღალტერი



დადასტურებული და ხელმოწერილია 2020 წლის 30 მარტს ხელმძღვანელობის სახელით:

შენიშვნები 10-34 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ავტორიზებული იქნა გამოსაცემად 2020 წლის 30 მარტს დირექტორის გადაწყვეტილებით.

კომპანია დაფუძნებულია 2006 წლის 13 იანვარს და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია - ჭავჭავაძის გამზირი N74ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის განცხადებული კაპიტალი არის 500,000 ლარი. კომპანიის აქციონერები არიან გიორგი ლოლაძე (91.48%) და ნიკოლოზ ლოლაძე (8.52%).

კომპანია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საბროკერო კომპანიას, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (საბროკერო საქმიანობის ლიცენზია #20047, გაცემული 2006 წლის 2 მაისს) და ახორციელებს საბროკერო მომსახურებას.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღწერილია შენიშვნა 3-ში „სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების“ ნაწილში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით.

კომპანიის 2019 წლის წმინდა ზარალმა შეადგინა 43,550 ლარი (2018: 69,072 ლარი). მიუხედავად ამ გარემოებისა და, ასევე, COVID-19 პანდემიით გამოწვეული მდგომარეობისა (იხილეთ შენიშვნა 29), ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები იმისათვის, რომ პოტენციურ რისკს გაუმკლავდეს. კომპანია საქმიანობის დისტანციურ რეჟიმშიც ახერხებს კლიენტებთან მუდმივი კავშირის შენარჩუნებას, შესაბამისად, მაღალია კლიენტების ინფორმირებულობის ხარისხი და მზადყოფნა, რომ გარემოებების შესაძლო გართულებებთან მათი ინტერესების ადაპტირება გამართიდეს. აქციონერები მზად არიან, რომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ კომპანია დამატებითი კაპიტალით. კომპანიას აქვს გამართული მიმდინარე ლიკვიდურობის პოზიცია (იხილეთ შენიშვნა 24), რაც პოტენციური ფინანსური დანაკარგების დაფარვას ხელს შეუწყობს.

შესაბამისად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701
1 GBP/GEL	3.7593	3.3955
1 CAD/GEL	2.1939	1.9674

საშუალო შეწონილი კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913
1 GBP/GEL	3.5964	3.3812
1 CAD/GEL	2.1245	2.9913

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს აღიარების გამოწვევის შუამდგომლობა მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური დაბალანსების კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო, როგორც ფინანსური იჯარა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-ს.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა და სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოძინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)

მოგება ან ზარალი ასეთი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასებიდან არასდროს ხვდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში. დივიდენდები აღირიცხება როგორც სხვა შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშებაში, როდესაც კომპანია ხდება უფლებამოსილი მიიღოს თანხა.

კაპიტალის ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშების გავლით არ ექვემდებარება გაუფასურებას. კომპანია ასეთად აკლასიფიცირებს არაკოტირებულ კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით

სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოძინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების თვითღირებულება შედგება მშენებლობის/შექმნის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის/შექმნის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება და იგი აღიარდება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია გრძელვადიან აქტივებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის ნორმა
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალება	20%
ოფისის აღჭურვილობა	40%
არამატერიალური აქტივები	15%

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების ან არამატერიალური აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

საემისიო კაპიტალი

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის მომსახურების გაწევა.

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღირიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ. გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გადასახადები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებოდნენ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახადების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

იჯარის გაგრძელების უფლება.

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადები

კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დამკველბა, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკურ

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

მწარმოებლობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე.

თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

5. წინა პერიოდის კლასიფიკაციების შესწორება

კომპანიამ, ფინანსური ანგარიშების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას.

რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის წინა პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
სულ გრძელვადიანი აქტივები	403,547	21,629	425,176
სულ მიმდინარე აქტივები	102,028	(21,629)	80,399

არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი 21,629 ლარის ოდენობით მოკლევადიანი აქტივის ნაცვლად კლასიფიცირდა გრძელვადიან აქტივად.

ეფექტი მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7,718	(3,367)	4,351
სხვა ხარჯები	(28,988)	15,741	(13,247)
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი/ხარჯი	-	(12,374)	(12,374)

ეფექტი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(87,032)	19,753	(67,279)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	42,636	(19,753)	22,883

გადახდილი ავანსი 19,753 ლარის ოდენობით ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრებიდან გადავიდა საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულ წმინდა ფულად სახსრებში.

6. ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში

ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" აქციები	299,998	299,998
სს "სი ეს არ"-ის აქციები	92,812	92,812
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს აქციები	148	148
სულ ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში	392,958	392,958

აღნიშნული ინვესტიციები წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტებს. ფასს-9 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობილი ყველა ინვესტიცია და ამგვარ ინვესტიციებზე დადებული ხელშეკრულებები უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში თვითღირებულება შესაძლოა იყოს რეალური ღირებულების მართებული შეფასება. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ:

- რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისი არ არის,
- ან არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი და ამ დიაპაზონში თვითღირებულება წარმოადგენს რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასებას.

ვინაიდან, სს „საქართველოს საფონდო ბირჟისა“ (მფლობელობის წილი 10%) და სს „სი ეს არის“ (პროცენტული წილი განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობიდან 25,6%, მფლობელობის წილი განცხადებულ კაპიტალში 17,9%) აქციები არ არის კოტირებული ბაზარზე და ხელმძღვანელობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმისთვის, რომ საიმედოდ დაადგინოს მათი აქციების რეალური ღირებულება, აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, როგორც რეალური ღირებულების რეპრეზენტატორი.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2018	27,170	8,193	-	35,363
შეძენა	1,718	-	-	1,718
31 დეკემბერი, 2018	28,888	8,193	-	37,081
შეძენა	5,756	-	6,644	12,400
31 დეკემბერი, 2019	34,644	8,193	6,644	49,481
აკუმულირებული ცვეთა				
1 იანვარი 2018	17,674	7,465	-	25,139
ცვეთა წლის განმავლობაში	3,262	172	-	3,434
31 დეკემბერი, 2018	20,936	7,637	-	28,573
ცვეთა წლის განმავლობაში	3,888	117	664	4,669
31 დეკემბერი, 2019	24,824	7,754	664	33,242
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2018	7,952	556	-	8,508
31 დეკემბერი, 2019	9,820	439	5,980	16,239

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ღირებულება	ლიცენზია	კომპიუტერული პროგრამა	ავტომატური რეგისტრაციის სისტემა (დასრულების პროცესში)	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
1 იანვარი 2018	700	871	1,820	267	3,658
შეძენა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	700	871	1,820	267	3,658
შეძენა	-	-	17,767	-	17,767
31 დეკემბერი, 2019	700	871	19,587	267	21,425
აკუმულირებული ამორტიზაცია					
1 იანვარი 2018	600	702	-	229	1,531
ცვეთა წლის მანძილზე	15	25	-	6	46
31 დეკემბერი, 2018	615	727	-	235	1,577
ცვეთა წლის მანძილზე	13	22	-	5	39
31 დეკემბერი, 2019	628	749	-	240	1,616
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი, 2018	85	144	1,820	32	2,081
31 დეკემბერი, 2019	72	122	19,587	27	19,809

9. არამატერიალური აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 19,912 ლარს (2018: 21,629 ლარს), რომელიც ძირითადად შედგება ავტომატური რეგისტრაციის კომპიუტერული სისტემისა და ვებ-საიტის შექმნასთან დაკავშირებული ავანსებისაგან.

10. აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი	სულ
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2018	-	-
კორექტირება ფასს 16-თან დაკავშირებით	-	-
1 იანვარი 2019	-	-
შემოსვლა	35,833	35,833
31 დეკემბერი 2019	35,833	35,833
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი 2018	-	-
კორექტირება ფასს 16-თან დაკავშირებით	-	-
1 იანვარი 2019	-	-
ცვეთის ხარჯი	7,167	7,167
31 დეკემბერი 2019	7,167	7,167
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2018	-	-
31 დეკემბერი 2019	28,666	28,666

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი. საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფიქსირებული გადახდები, წლის განმავლობაში 3,240 დოლარის ექვივალენტით ლარში. ხელშეკრულება მოიცავს როგორც იჯარის გაგრძელების, ასევე შეწყვეტის უფლებას და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საიჯარო პერიოდი, კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, 4 წელია.

11. დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 638 ლარს (2018: 9,570 ლარს). აღნიშნული თანხა უკავშირდება კლიენტების მიმართ მოთხოვნებს, წარმოქმნილს იმ ფასიანი ქაღალდების ტრანზაქციებისგან, რომლებიც დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში.

12. მოკლევადიანი ინვესტიციები

მოკლევადიანი ინვესტიციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 22,256 ლარს (2018 : 29,841), რომელიც წარმოადგენს სავაჭრო პლატფორმაზე არსებულ სხვადასხვა ფასიან ქაღალდებს. კომპანია აღრიცხავს მოკლევადიან ინვესტიციებს სამართლიანი ღირებულებით, ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ეროვნული ვალუტა ბანკში	44,668	22,165
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ საბანკო ანგარიშზე	10,204	10,783
უცხოური ვალუტა რეზიდენტ საბანკო ანგარიშზე	4,184	7,799
ეროვნული ვალუტა სალაროში	27	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	59,083	40,747

ნადდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარიცხო და ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს.

14. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
განცხადებული სააქციო კაპიტალი	500,000	400,000
შეუვსებელი სააქციო კაპიტალი	(84,860)	(30,000)
სულ სააქციო კაპიტალი	415,140	370,000
საემისიო შემოსავალი (საემისიო კაპიტალი)	33,160	-
გაუნაწილებელი მოგება	56,471	100,021
სულ კაპიტალი	504,771	470,021

2019 წლის განმავლობაში, დამატებით ფულადი შენატანების გზით, კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 45,140 ლარით, ხოლო საემისიო შემოსავალმა (საემისიო კაპიტალმა) შეადგინა 33,160 ლარი.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია.

კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია 2019 და 2018 წლების განმავლობაში.

კომპანია ახორციელებს საბროკერო საქმიანობას და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N145/04 ბრძანების მე-8 მუხლის, 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უნდა შეადგენდეს 500,000 ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის მოცულობა შეადგენდა 470,021 ლარს, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობამ და აქციონერებმა, 2019 წლის თებერვალი-მარტის პერიოდში გაატარეს ქმედითი საფინანსო პოლიტიკა, რის შედეგადაც ჯამურმა კაპიტალმა გადააჭარბა 500,000 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მოთხოვნას.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

15. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	7,123	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	24,815	-
სულ საიჯარო ვალდებულება	31,938	-

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
თავდაპირველი აღიარებისას	35,833	-
საპროცენტო ხარჯი	2,683	-
გადახდები წლის განმავლობაში	(9,146)	-
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ეფექტი	2,568	-
ნაშთი წლის ბოლოს	31,938	-

31 დეკემბერი 2019	1 წლის განმავლობაში	1-5 წელი
საიჯარო გადახდები	9,343	27,874
ფინანსური ხარჯი	(2,220)	(3,059)
დღევანდელი ღირებულება	7,123	24,815

16. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ვალდებულებები საბროკერო საქმიანობიდან	7,711	18,734
სხვა საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	6,013	6,013
სულ სავაჭრო სა სხვა ვალდებულებები	13,724	24,747

17. ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან

ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 9,342 ლარს (2018: 10,807), აღნიშნული შედეგა მხოლოდ ერთ კონტრაგენტთან არსებული ბალანსისაგან, რომელთანაც კომპანია ახორციელებს სპეკულაციურ ოპერაციებს.

18. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

კომპანია ახორციელებს სავაჭრო საქმიანობას როგორც სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“, ასევე საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე კოტირებული ფასიანი ქაღალდებით. კომპანია საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ტრანზაქციებს ახორციელებს საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმის საშუალებით. 2019 წელს სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ განხორციელებული გარიგებებიდან და არასაბირჟო გარიგებებიდან მიღებული ჯამური საბროკერო საკომისიო შემოსავალი შეადგენს 60,173 ლარს (2018: 32,805). ამავდროულად, საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმის საშუალებით, საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე განხორციელებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავალი არის 28,978 ლარი (2018: 23,454). საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმაზე ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა 2019 წელს შეადგინა 69,293 ლარი (2018: 62,137).

19. სხვა საოპერაციო შემოსავლები

სხვა საოპერაციო შემოსავლები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
აქციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	528	4,068
სხვა საოპერაციო შემოსავლები	118	283
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	646	4,351

20. სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი/(ხარჯი) 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი	14,698	3,367
სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით გაწეული ხარჯი	(13,884)	(15,741)
სულ სავაჭრო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	814	(12,374)

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ხელფასი და სხვა სარგებელი	29,517	16,352
ცვეთა და ამორტიზაცია	11,875	3,480
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	8,505	7,695
კომუნალური გადასახადები	3,823	2,482
ტერმინალით სარგებლობის ხარჯები	1,200	1,200
საწვავი	1,042	-
საბანკო ხარჯები	879	239
ოფისის შენახვის ხარჯები	430	-
იჯარა	-	8,232
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	6,071	2,126
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	63,342	41,806

22. მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა

კურსთაშორისი სხვაობიდან მოგება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საკურსო მოგება (რეალიზებული)	4,148	2,633
საკურსო მოგება (არარეალიზებული)	4,786	5,975
საკურსო ზარალი (რეალიზებული)	(1,324)	(1,602)
საკურსო ზარალი (არარეალიზებული)	(6,108)	(8,276)
სულ მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	1,502	(1,270)

23. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ღია CFD პოზიციიდან მიღებული ხარჯი, რეალიზებული	743	7,360
სხვა ხარჯები	591	5,887
სულ სხვა ხარჯები	1,334	13,247

24. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები ხორციელდება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს) და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებულ იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	59,056	40,747
მოკლევადიანი ინვესტიციები	12	22,256	29,841
დებიტორული დავალიანება	11	638	9,570
სულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული აქტივები		81,977	80,158

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არასამუშაო მდგომარეობაში ა)უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ)საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ)ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი -კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში. თუ აქტივები და ვალდებულებები საერთო ვალუტაში არ ემთხვევა ერთმანეთს, კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია და ექვემდებარება კურსის არამომგებიან ცვლილების რისკს.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტებში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით.

გარდა ამისა ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის აღწერილი კომპანიის მგრძნობელობა 30%-იან ზრდაზე და შემცირებაზე ლარში თითოეულ ვალუტასთან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ 2019 და 2018 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	კანადური დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	4,783	4,407	2,082	3,116	14,388
დებიტორული დავალიანება	-	-	45	-	45
მოკლევადიანი ინვესტიციები	12,627	9,629	-	-	22,256
სულ ფინანსური აქტივები	17,410	14,036	2,127	3,116	36,689
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	5,519	-	-	-	5,519
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან	9,342	-	-	-	9,342
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,861	-	-	-	14,861
წმინდა სავალუტო პოზიცია	2,549	14,036	2,127	3,116	21,828
გავლენა მოგება-ზარალზე					
30%-იანი ზრდა	765	4,211	638	935	6,548
30%-იანი შემცირება	(765)	(4,211)	(638)	(935)	(6,548)
2018	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	კანადური დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	7,994	7,799	-	2,790	18,583
დებიტორული დავალიანება	431	27	7,247	(34)	7,671
მოკლევადიანი ინვესტიციები	25,066	4,775	-	-	29,841
სულ ფინანსური აქტივები	33,491	12,601	7,247	2,756	56,095
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	5,218	3,721	7,245	-	16,184
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან	10,807	-	-	-	10,807
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,025	3,721	7,245	-	26,991
წმინდა სავალუტო პოზიცია	17,466	8,880	2	2,756	29,104
გავლენა მოგება-ზარალზე					
30%-იანი ზრდა	5,240	2,664	1	827	8,731
30%-იანი შემცირება	(5,240)	(2,664)	(1)	(827)	(8,731)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემოქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის არ აქვს სესხები და ნასესხები თანხები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაეკემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

31 დეკემბერი, 2019

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	59,083	-	59,083
მოკლევადიანი ინვესტიციები	22,256	-	22,256
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	638	-	638
სულ ფინანსური აქტივები	81,977	-	81,977
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,620	-	13,620
საიჯარო ვალდებულება	7,123	24,815	31,938
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან	9,342	-	9,342
სულ ფინანსური ვალდებულებები	38,112	24,815	54,900
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	43,865	-	27,077

31 დეკემბერი, 2018

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	40,747	40,747
მოკლევადიანი ინვესტიციები	29,841	29,841
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,570	9,570
სულ ფინანსური ვალდებულებები	80,158	80,158
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	სულ
კრედიტორული დავალიანება	24,644	24,644
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან	10,807	10,807
სულ ფინანსური ვალდებულებები	35,451	35,451
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	44,707	44,707

25. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს გამოცემულ კაპიტალს, დაგროვილ მოგება/ზარალს და ვალს. კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესაბამისად ნასესხები საშუალებებისგან თავის არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას, ახალი აქციების გამოცემას.

26. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

27. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის აქციონერები არიან გიორგი ლოლაძე (91.48%) და ნიკოლოზ ლოლაძე (8.52%).

კომპანია ფლობს სს „სი ეს არ“-ში განთავსებული აქციების 25,6%-ს, (პროცენტული წილი განცხადებულ კაპიტალში 17,9%), ხოლო სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციების 10% -ს.

27. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარესთან არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

	2019	2018
საკომისიო შემოსავალი		
აქციონერი	124	384
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	89,151	56,260

	2019	2018
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა განაცემი	2,800	2,400

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთი არ ფიქსირდება.

28. ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და ტრანზაქციების მოცულობაზე

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების რაოდენობა შეადგენს 433-ს (2018: 454). 2019 წლის განმავლობაში სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების ტრანზაქციების ჯამურმა გარიგებების მოცულობამ შეადგინა:

-თანხობრივად - 40 940 146 ლარი (2018: 9 293 008 ლარი);

-ფასიანი ქაღალდების მიხედვით - 33 010 089 ცალი (2018: 2 404 292 ცალი).

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 მარტს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას:

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვის ვადით. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანია გადავიდა მუშაობის ე.წ „დისტანციურ რეჟიმზე“, თუმცა ხელმძღვანელობის შეფასებით დისტანციური რეჟიმით მუშაობა კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მის საქმიანობას არ აფერხებს.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.